

მოქმედებისკენ მოწოდება - ჰააგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ

სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა იწყება სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის გააზრებით. ჰააგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ ჩამოყალიბდა იმ მიზნით, რომ სექსუალური ძალადობის აქტის არსის ინტერპრეტაცია გაფართოვდეს მსხვერპლთა პერსპექტივის გათვალისწინებით. პრინციპების მიზანია უზრუნველყოფა, რომ არ მოხდეს ძალადობის უგულებელყოფა ან გაუბრალოვნება.

აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები

ჰააგის პრინციპების გამოყენება შესაძლებელია შემდეგი მიზნებისთვის:

- საზოგადოების ცოდნის გაღრმავება: მოაწყვეთ ღონისძიებები თემში ეკლესიასთან ან ტრადიციულ ლიდერებთან ერთად. დაიწყეთ კამპანია, მათ შორის, სოციალური მედიის მეშვეობით, რათა აამაღლოთ ცნობიერება და აუხსნათ ხალხს, თუ რას მოიცავს სექსუალური ძალადობა (კონკრეტული იდეებისთვის იხილეთ მსხვერპლ აქტივისტთა გზამკვლევი). მიმართეთ რადიოგადაცემებს და სხვა მედიასაშუალებებს.
- პრაქტიკოსთა ცოდნის გაღრმავება: ტრენინგების კურიკულუმებში გამოიყენეთ და მითითება გააკეთეთ პრინციპებზე. მოაწყვეთ მრგვალი მაგიდის დისკუსიები პრაქტიკოსებთან, რათა შესაძლებელი იყოს გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. უზრუნველყავით, რომ აუდიტორია იყოს ფართო და მრავალფეროვანი, მაგალითად, უზრუნველყავით მოსამართლეთა თანაშემწეების და სპეციალისტების დასწრება.
- მსვლელობების მოწყობა: მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების და მონაწილე მხარეებისთვის მოქმედებისკენ მოწოდების მიზნით.
- ქსელების ჩამოყალიბება: მიმართეთ სხვა პრაქტიკოსებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და კოალიციების შექმნის მიზნით.
- ფართოდ გავრცელება: გავრცელეთ ჰააგის პრინციპები თქვენს ქსელში, მათ შორის, თქვენს ვებგვერდზე ბმულის განთავსების მეშვეობით.
- ცვლილებებისთვის ადვოკატირება: ჩაერთეთ პროცესებში პოლიტიკის შემოქმედებელ პირებთან ერთად, რათა მიღგომები და კანონები იყოს უფრო ინკლუზიური (კონკრეტული მოთხოვნებისთვის იხილეთ მომდევნო სექცია).

- ამყოფოთ ანგარიშვალდებულნი: შეახსენეთ მთავრობებს მათი დაპირებები და ვალდებულებები სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგალითად, „ქალთა შვიდობის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მიზნების“ ფარგლებში. მოთხოვეთ, რომ შეასრულონ მათი შედარებით მნიშვნელოვანი და საერთაშორისო სამართლით დადგენილი ვალდებულებები, მაგალითად, ადამიანის უფლებათა სამართალი.

მსხვერპლებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის:

- დააკავშირეთ მსხვერპლთა და პრაქტიკოსთა გამოცდილებები: მოაწყვეთ შეხვედრები, მათ შორის, გასვლითი ტურების და გამოცდილების გაზიარების სახით, მსხვერპლებსა და პრაქტიკოსებს შორის, როგორცაა გამოძიებები, პროკურორები, მოსამართლეები და პოლიტიკის შემუშავებელი პირები. ყველა აქტივობაში, რომელშიც მონაწილეობენ მსხვერპლები, გამოიყენეთ პრინციპი არ ავნო და სპეციალური გაიდლაინები მსხვერპლებთან კავშირის დამყარებით განმსჭვალული კომუნიკაციის შესახებ.
- დააკავშირეთ მსხვერპლები და ორგანიზაციები: დაეხმარეთ კოლიციას და პროკურორებს გამოძიების პროცესში სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ჩართვაში. ურჩიეთ მსხვერპლებს, რომ მიმართონ არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისებს და დაეხმარეთ მათ შესაფერისი პროგრამებისა და დაწესებულებების მოძიებაში. მხედველობაში იქონიეთ კოტენციური რისკები და მსხვერპლზე ძალადობის ხანგრძლივი უარყოფითი შედეგები.
- მოიპოვეთ წდობა: იმუშავეთ ინსტიტუციებსა და მსხვერპლებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის, რათა მსხვერპლებს გაუადვილდეთ მხარდაჭერის მიღება სახელმწიფო აქტორებისგან და სასამართლო პროცესებში მონაწილეობა.
- მსხვერპლთა გააქტიურება: გამოიყენეთ ჰაავის პრინციპები სხვადასხვა ფორმის სექსუალური ძალადობის შესახებ სასაუბროდ. მოაწყვეთ საგოგადობის შეხვედრები და პირისპირ შეხვედრით სწავლების აქტივობები. შექმენით მსხვერპლთა ქსელები სოლიდარობისა და ერთობლივი მუშაობის მიზნით.

პოლიტიკის შემქმნელების და გადაწყვეტილების მიღებთათვის:

- ექსპერტიზის გაღრმავება: ხელი შეუწყვეთ ინსტიტუციებში ექსპერტიზის დონის გაღრმავებას, მაგალითად, ანთროპოლოგებისა და სოციალური მეცნიერების ჩართვით საგამომძიებო ჯგუფებში.
- გაითვალისწინეთ მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მოვალეობები: ნომინირება გაუკეთეთ სექსუალური ძალადობის საკითხებში გათვითცნობიერებულ კანდიდატებს მაღალი რანგის პოლიტიკურ პოზიციებზე, მენეჯერულ როლებზე, მოსამართლეებისა და პროკურორების პოზიციებზე.
- შეცვალეთ კანონები და პროცედურები: ცვლილებები შეიტანეთ სისხლის სამართლის კოდექსში, რათა მოიცვას სექსუალური ძალადობის ყველა ფორმა და ყველა სახის სექსუალური ძალადობის სისხლისსამართლებრივი დევნა გახდეს შესაძლებელი. შესაბამისობაში მოიყვანეთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დანაშაულის ელემენტები, რათა იზიარებდნენ სექსუალური ძალადობის მიმართ გასაგებ, პროგრესულ და კულტურულად სენსიტიურ მიდგომას.

- მართლმსაჯულებაში ჩართულ პირთა სწავლება: უზრუნველყავით, რომ ყველა პოლიციელმა და სასამართლო პერსონალმა გაიაროს ტრენინგი საქსუალურ ძალადობაზე.
- მსხვერპლთა მხარდაჭერა: დააარსეთ ცხელი ხაზი და უნივერსალური კრიზისის ცენტრები. დაატრენინგეთ პერსონალი, რომ შეძლოს სხვადასხვა ფორმის საქსუალური ძალადობის იდენტიფიცირება.

სამართლის პრაქტიკოსთათვის

- დაუკავშირდით მსხვერპლებს: ითანამშრომლეთ მსხვერპლთა ჯგუფებთან, რათა მიიღოთ მათგან ინფორმაცია და უზრუნველყოთ მათი გამოცდილების სათანადოდ ასახვა მიდგომებში, კანონმდებლობასა და საბრალდებო დოკუმენტებში.
- გააღრმავეთ ექსპერტიზა: გააღრმავეთ სამუშაო გუნდის ექსპერტიზა, მაგალითად, მასში ჩართეთ ანთროპოლოგები და სოციალური მეცნიერები.
- გამოიყენეთ კანონის შესაძლებლობები სრულად: გამოიყენეთ კრედიტული, დახვეწილი და პროგრესული სტრატეგიები, რათა გაფართოვდეს პასუხისმგებლობა, მოკოვებული იყოს ამომწურავი და საკმარისი მტკიცებულებები საქსუალური ძალადობის დანაშაულებზე.
- გააზიარეთ ცოდნა: მონაწილეობა მიიღეთ ღონისძიებებზე და მრგვალი მაგიდის განხილვებში სხვა პრაქტიკოსებთან ერთად, რათა შეიმუშავოთ საუკეთესო პრაქტიკები. გაავრცელეთ პრინციპები თქვენს ქსელში. გამოიყენეთ და მიუთითეთ პრინციპებზე ტრენინგების კურიკულუმებში.
- დაატრენინგეთ პერსონალი: დარწმუნდით, რომ ყველას ჩაუთარდა ტრენინგი საქსუალური ძალადობის შესახებ. შექმენით ისეთი გუნდი და სამუშაო გარემო, რომელშიც საქსუალური ძალადობის მიმართ მგრძობელობა არის მაღალი.
- გამოიყენეთ სმარტფონის აპლიკაცია „BIS“ - სისხლის სამართლის საერთაშორისო დანაშაულების ძირითადი საგამოძიებო სტანდარტის შესახებ აპლიკაცია - The Basic Investigative Standards for International Crimes (BIS) - შეიცავს საერთაშორისო დანაშაულების გამოძიების მინიმალურ სტანდარტებს, რაც ამაღლებს გამოსაყენებლად ვარგისი რელევანტური მტკიცებულებების მოკოვების შანსს.
- გაიღრმავეთ საკუთარი ცოდნა: მონაწილეობა მიიღეთ საქსუალური ძალადობის საკითხებზე გამართულ ტრენინგებში.